# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1989 წლის 15 მარტს, მოსკოვში მუშაობას შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმის განსახილველად შეტანილი იყო შემდეგი საკითხები:

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების მოწყობის შესახებ.

2. თანამედროვე პირობებში პარტიის აგრარული პოლიტიკის შესახებ.

პლენუმმა დაესწრნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან.

ინფორმაციით პირველ საკითხზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვ. ა. კოპტიუგი.

ფარული კენჭისყრის შედეგად ყველა კანდიდატი არჩეულ იქნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან.

პლენუმმა მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების განაწესების შესახებ, რომელიც პრესაში გამოქვეყნდება.

მოხსენება თანამედროვე პირობებში პარტიის აგრარული პოლიტიკის საკითხზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

16 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დაიწყო განხილვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებისა „თანამედროვე პირობებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის შესახებ“.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

დასასრულ გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელიც პრესაში გამოქვეყნდება.

პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა შეიტანეს წინადადება განიხილონ და შეაფასონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის ბ. ნ. ელცინის ზოგიერთი გამოსვლა, რომლებიც, მათი აზრით, ეწინააღმდეგება ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მითითებებს, პარტიულ ეთიკასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საწესდებო ნორმებს.

პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია დაავალოს კომისიას სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობით ყურადღებით შეისწავლოს ეს საკითხი და თავისი დასკვნები მოახსენოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმს.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 მარტი, შაბათი, 1989 წ.
№ 53 (9972) ▲ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთრის საკავშირო ახალგაზრდული თამაშები

## პირველი ჩემპიონები

**სამთოსათხილამურო** სპორტის ახალი, უკვე საქვეყნოდ აღიარებული ცენტრი გუდაური კვლავ მასპინძლობს მეტად მნიშვნელოვან ასპარეზობას: აქ დაიწყო IV საკავშირო ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული სამთომოთხილამურეთა სტარტები.

ამ შეჯიბრების, მისი მნიშვნელობის შესახებ დაწვრილებით ცნობებს შემდგომ წერილებში მოგაწვდით. ჯერჯერობით კი გთავაზობთ პირველი დისციპლინის — სწრაფდაშვების შედეგებს, სადაც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენებთან ერთად იასპარეზეს საქართველოს წარმომადგენლებმა.

2800-მეტრიან დისტანციაზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა ვიაჩესლავ ზვერევს — 1.45,14; მეორე ადგილი დაიკავა ალექსანდრ რომანოვმა — 1.45,29, მესამე — გერმან პეტროჩენკომ — 1.45,41. სამივე სპორტსმენი არმიელია.

სუსტად იასპარეზეს მასპინძლებმა. მესტიელმა გოჩა ჰელიძემ 32-ე ადგილი დაიკავა (1.49,97), თბილისელი ალექსანდრე ანთაძე 34-ე იყო (1.50,32), ბაკურიანელი ლევან აბრამიშვილი — 36-ე (1.50,91).

**გოგონათა** შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ოლგა კურადჩენკო — 1.50,13; 2. ლარისა ბოიკო (ორივე — „დინამო“) 1.50,35; 3. ოლგა დმიტრიევა („შრომითი რეზერვები“) — 1.50,61.

საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესო შედეგი ჰქონდა სოფიკო პეტროსიანს, რომელმაც მე-17 ადგილი დაიკავა — 1.59,04.

გუშინ გუდაურში ჩატარდა მორიგი ასპარეზობა. გაცნობებთ ტექნიკურ შედეგებს:

**სწრაფდაშვება (კომბინაცია). ქალები.** 1. ოლგა კურადჩენკო — 1.29,31; 2. ლარისა ბოიკო — 1.31,34; 3. გოლჩაჩაკ სუნგატოვა — 1.31,92.

**ვაჟები.** 1. გერმან პეტროჩენკო — 1.25,79; 2. ალექსანდრ რიასნოი (ორივე — საბჭოთა არმია) — 1.26,14; 3. ალექსანდრ რიაბოვი („დინამო“) — 1.26,42.

ჩვენმა სპორტსმენებმა შემდეგი ადგილები დაიკავეს: თამარ მიქელაძე — 1.47,18 (30-ე ადგილი), სოფიკო მალოვიჩკო — 1.47,46 (31-ე ადგილი); ლიზა ჩაჩხიანი — 1.48,15 (32). **ვაჟები.** გოჩა ჰელიძე — 1.29,07 (27); ალექსანდრე ანთაძე — 1. 29,78 (34); მამუკა დვალიშვილი — 1.30,22. (40).

პირიმე გვარლიანი
„ლელოს“ სპეც. კორ.
გუდაური.

## თორმეტიდან შვიდი მედალი

**კურსკი.** აქ დაიწყო ძიუდოისტთა საკავშირო პირველობა, რომელშიც მონაწილეობენ ახალგაზრდული თამაშების ასაკის (1969-1971 წწ. დაბადებული) მოჭიდავეები. შეჯიბრება საუწყებო პრინციპით ტარდება და მასში ჩვენი რესპუბლიკის ორმოცამდე ათლეტი გამოდის.

ჯერჯერობით დამთავრდა ასპარეზობა სამ წონაში. 12 მედლიდან საქართველოს ძიუდოისტებმა შვიდი დაისაკუთრეს. მძიმე წონაში ყველა საპრიზო ადგილი საქართველოს სპორტსმენებს ხვდათ წილად. ჩემპიონი გახდა დავით ხახალეიშვილი („დინამო“, ქუთაისი), II ადგილი მოიპოვა კობა გურეშიძემ („შრომითი რეზერვები“, ზესტაფონი), III — ჯონდო და ზაზა დაბრუნდაშვილებმა (ორივე — „შრომითი რეზერვები“, ქარელი).

86 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი არავის დაუთმო დავით ბაგაურმა („დინამო“, ახმეტა), მეორეზეა თამაზ საიკაშვილი (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი), მესამეზე — ტარიელ პაჭკორია („დინამო“, სოხუმი).

შეჯიბრება გრძელდება.

## „აისმა“ თავი ისახელა

**რეგბისტთა** ამ ტურნირს, რომელიც ტრადიციულად მოსკოვში ტარდება, საგაზაფხულოს უწოდებენ და, ცხადია, კარსმომდგარი სეზონის წინ ძალების შემოწმების საუკეთესო საშუალებადაც მიიჩნევენ.

წლევანდელ ტურნირში მოსკოვისა და მოსკოვის გარეუბნების (კასინო, ზელინოგრადი) გუნდებთან ერთად იასპარეზეს ქუთაისის „აისის“ რეგბისტებმაც. გულშემატკივართა უმრავლესობა ამ გუნდს, ალბათ, არ იცნობს, ამიტომ ჯერ ორიოდე სიტყვა მასზე: რესპუბლიკური ჩემპიონატების მონაწილე ეს კოლექტივი ახალგაზრდა მოთამაშეებისაგან შედგება. გუნდს, რომლის სპონსორია ქუთაისის ერთ-ერთი ქარხანა, სათავეში უდგას გამოცდილი სპეციალისტი, „მშენებლის“ წევრი, მრავალი მოთამაშის აღმზრდელი რამაზ სვანიძე. საუკეთესო, პერსპექტიული მოთამაშეები შემდგომში ირიცხებიან ქუთაისის „მშენებელში“. ასე რომ, „აისი“ რესპუბლიკის პირველი გუნდისათვის ესოდენ საჭირო სარეზერვო ბაზაა.

მოსკოვის ტურნეში ჭაბუკმა ქუთაისელმა რეგბისტებმა თავი ისახელეს, სძლიეს ხუთივე მეტოქეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მათს უპირატესობაზე მეტყველებს ისიც, რომ საუკეთესო მოთამაშეებისათვის დაწესებული პრიზები გადაეცათ „აისის“ წევრებს გ. ჯიმშელეიშვილს, გ. მაღლაკელიძეს და მ. ფილიას.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## სამაგალითო გამარჯვება

თბილისი. კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სახლი. 16 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი) 97:90 (51:48).

**„დინამო“:** კოლიჩევი (22), კროპაჩოვი (19), შენგელია (18), დარსაძე (16), ტიუბინი (6), ვაშაკიძე (5), სანაძე (5), ბოროდაჩოვი (4), უსტიაშვილი (2).

**რტი:** ჟელუდოკი (19), გრიშჩუკი (19), იაკუბენკო (18), პუსტოგვარი (15), პარფენოვიჩი (8), სლანევსკი (8), ბუზლიაკოვი (2), ჟოლნეროვიჩი (1).

მსაჯები — გ. ლუკიანენკო (ციხკი) და რ. რიჟიკი (კიევი).

**მინსკის** რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელები გათამაშების ამ ეტაპზე დინამოელთა უშუალო კონკურენტები არიან და შეხვედრის შედეგსაც, ამის გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. საფიქრებელი იყო, რომ ორივე გუნდი თავის შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოიყენებდა, მაგრამ ამ უკომპრომისო ბრძოლაში ერთგვარი უპირატესობა მაინც თბილისელთა მხარეს უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ისინი შინ თამაშობდნენ. სხვათა შორის, მონდომება ამ მატჩში არც ერთ მხარეს არ დაუკლია და ამიტომ „დინამოს“ გამარჯვება სავსებით სამართლიანად და ლოგიკურად მიგვაჩნია.

თუმცა... ამ შეხვედრაში სულ ცოტა, ორჯერ მაინც თბილისის „დინამოს“ წარმატების საკითხი ბეწვზე ეკიდა. პირველად ეს ვიგრძენით ტაიმის მიწურულს, როცა სტუმრებმა შესძლეს მდგომარეობის გათანაბრება და ორი ქულითაც დაწინაურდნენ. მეორედ ეს მოხდა 24-ე წუთზე, როცა ხუთი პერსონალური შენიშვნისათვის მოედანი დატოვა დინამოელთა ლიდერმა შენგელიამ.

შესვენებამდე მასპინძლების მდგომარეობა უფრო სტაბილური ჩანდა, მაგრამ ყველაზე დიდი, რაც მათ მოახერხეს, ექვსი ქულით დაწინაურება იყო. ამ პერიოდისთვის რტი ოდნავ საქციელწამხდარი იყო, ვინაიდან სამ-სამი პერსონალური შენიშვნის გამო მწვრთნელებმა პუსტოგვარი და ჟელუდოკი დროებით დაასვენეს. რადიოტექნიკის ინსტიტუტის კოლექტივი საკმაოდ მარტივად და ამავე დროს რაციონალურად თამაშობს. გარეგნულ ეფექტებსა და მრავალსვლიან კომბინაციებს იგი კატეგორიულად უარყოფს. სამაგიეროდ, ყველა ერთნაირად ზუსტად ტყორცნის კალათს და ყველა ერთნაირად აქტიურად იბრძვის დაცვაში, ეს გუნდის



იხ. მე-4 გვ.

## თამაშები ჭადრაკით იწყება

**როგორც უკვე გაცნობეთ, 19 მარტს თბილისში სტარტს აიღებს სტუდენტთა მეორე გიგანტური თამაშები. თამაშებს მოჭადრაკეები გახსნიან: ჭადრაკის სასახლეში ერთბაშად 140 დაფაზე გაიმართება შეხვედრები. დასაწყისი 11 საათზე.**

საქართველოს თასის გათამაშება წყალბურთში

## სტარტი გაზაფხულზე, ფინიში — ზამთარში

**ისეთი** ხანგრძლივი პირველობები, როგორიც წყალბურთელებს აქვთ, სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთათვის არ არის, ან თითქმის არ არსებობს. მაგალითად, მორიგი საკავშირო ჩემპიონატი წლეულს თებერვალში დაიწყო და საბოლოოდ ყველაფერი მხოლოდ ოქტომბერში გაირკვევა.

ასეთივე ხანგრძლივი ბრძოლა უწევთ საქართველოს თასის გათამაშების მონაწილეებსაც, რომლის წინასწარი შეჯიბრებები ახლახან თბილისში, ვაკის საცურაო აუზში გაიმართა, ამ ჯილდოს მფლობელის ვინაობა კი მხოლოდ დეკემბერში გაირკვევა. სათასო შეხვედრათა შუალედებში ჩვენი წყალბურთელები, რა თქმა უნდა, სხვადასხვა შეჯიბრებებშიც გამოვლენ.

წინასწარ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის უნივერსიტეტის, ასკ-ის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ქუთაისის „ქიმიკოსისა“ და რუსთავის „ფოლადის“ გუნდები. შეჯიბრებაში უკონკურსოდ, ცალ-ცალკე, გამოდიოდნენ 1969 და 1973 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საქართველოს ნაკრები გუნდები, რომელთათვისაც ნებისმიერ შეჯიბრებაში მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი ასპარეზობებში გამოცდილებას იძენენ, ოსტატობას ხვეწენ, უფროსებთან ჭიდილში ძალებს ცდიან და ხშირად იმარჯვებენ კიდეც.

რაც შეეხება წინასწარ ასპარეზობაში მონაწილე გუნდებს, მათ შორის ამ ეტაპზე უძლიერესნი აღმოჩნდნენ უნივერსიტეტელები, რომლებმაც ყველა შეხვედრა მოიგეს. მათ ორი ქულით ჩამორჩნენ პოლიტექნიკოსები. თბილისელმა არმიელებმა, რომლებიც სათადარიგოთა შემადგენლობით გამოდიოდნენ, 4 ქულა მოაგროვეს, ქუთაისელებმა კი — 2.

ამ გუნდებმა ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ავთანდილ ვეკუიშელი.

## ევროპის საკლუბო ტურნირების წილისყრა

**გუშინ** ჟენევაში შედგა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების ნახევარფინალური წყვილების წილისყრა.

**ჩემპიონთა თასი:** „სტიაუა“ „გალათასარაი“, „რეალი“ — „მილანი“.

**თასების თასი:** „ბარსელონა“ — „სრედეცი“, „მეჰელენი“ — „სამპდორია“.

**უეფა-ს თასი:** „ნაპოლი“ — „ბაიერნი“, „შტუტგარტი“ — „დინამო“ (დრეზდენი).

ნახევარფინალის პირველი მატჩები შედგება 5 აპრილს წყვილებში პირველად დასახელებული გუნდების მინდორზე. საპასუხო შეხვედრები გაიმართება 19 აპრილს.

სასკოლო ფიზკულტურა

# პრობლემები დროზე გადასაწყვეტია

**მომავალი** თაობის ფიზიკურ აღზრდაში სკოლას გადამწყვეტი როლი აკისრია. ამიტომ პედაგოგიური კოლექტივი ვალდებულია ჩვენი ახალგაზრდობის ფიზიკური სრულყოფისათვის მიზანმიმართულად იმუშაოს.

რა კეთდება ამ მხრივ ჩხოროწყუს რაიონში?

უკანასკნელ წლებში აქ საგრძნობლად გაუმჯობესდა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აშენდა ახალი სკოლები სპორტული დარბაზებითა და ღია მოედნებით, რამდენიმე სკოლას მიუშენდა სპორტდარბაზი. შარშან ექსპლუატაციაში გადაეცა ლესიჭინის პროფკავშირების სპორტული სკოლის სპორტკომპლექსი და სხვ.

პარტიის ჩხოროწყუს რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობით ფიზკულტურულ კოლექტივებში სულ უფრო უმჯობესდება მუშაობა. შემუშავებულია ორწლიანი სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს როგორც მატერიალური ბაზების, ისე მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის სრულყოფას. მარტო წელს ქალაქში დაიწყება 300 მაყურებელზე გათვალისწინებული სპორტდარბაზის, საცურაო აუზის, იპოდრომის მშენებლობა. ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას წლის საფინანსო გეგმაში აქვს ღია სპორტული მოედნების, ხოლო საცხოვრებელი უბნის მიხედვით—მარტივი ტიპის მოედნების მოწყობა.

ოცინდალეს მთაზე აღმოჩენილმა უფსკრულებმა და ხომიწყლის ხეობაში არსებულმა მღვიმეებმა ახალგაზრდებს საშუალება მისცა ძალა ეცადათ სპელეოსპორტში. ეწყობა ტურისტული ლაშქრობები და სხვ.

ასე რომ, ფიზიკურ კულტურასა და სპორტს რაიონში მწვანე შუქი აქვს, მაგრამ ძირითადად ზოგადსაგანმანათლებლო და არასრულ საშუალო სკოლებში არის ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრა გადაუდებელი საქმეა.

სავალალო მდგომარეობაშია ახუთის, ლესიჭინის მესამე, ქალაქის მეორე, სარაქონის, ნაკიანის საშუალო, ნაშელუს, მეორე მოიდანახის, ლედარსალეს არასრული საშუალო სკოლების სპორტული ბაზები.

ახუთის საშუალო სკოლაში (დირექტორი ნუგზარ საჯაია, ფიზკულტურის მასწავლებელი გიორგი საჯაია) ფიზკულტურის გაკვეთილის ჩატარების ელემენტარული პირობებიც არ არსებობს. სკოლა საერთოდ განიცდის სივიწროვეს, არ ყოფნის საკლასო ოთახები, სპორტდარბაზზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

სამწუხარო ისიცაა, რომ ამ სკოლას ღია მოედნები არ უვარგა. რელიეფური პირობების გამო კალათბურთის, ფრენბურთის, მინიფეხბურთის მოედნები მოწყობილია დაქანებულ ფერდობზე...

სოფლის ფეხბურთის მოედანი სკოლიდან ძალიან შორსაა, თანაც სათანადოდ მოუწყობელი. მიუხედავად ამისა, ბავშვებს მაინც იქით მიუხარიათ.

ამ სკოლამ დაარსების 100 წლის იუბილე კარგა ხანია იზეიმა, ასეთი ბაზები კი ნამდვილად არ შეშვენის, მით უმეტეს შარშან სკოლის აღსაზრდელებმა „ტყავის ბურთის" პრიზზე რესპუბლიკაში მესამე ადგილი დაიკავეს.

ანალოგიურ მდგომარეობაშია ლეწურწუმის და სარაქონის საშუალო სკოლები.

ლესიჭინის მესამე საშუალო სკოლაში (დირექტორი ჯუმბერ ვეკუა, ფიზკულტურის მასწავლებელი ჯენული ძმისტარაშვილი) სპორტდარბაზი არ თბება, იატაკის ფიცრები დამპალია, მინები ჩამსხვრეული. არ უვარგა გასახდელები. დროულად უნდა შეკეთდეს ამ სოფლის პირველი საშუალო სკოლის დარბაზის იატაკი, თორემ მალე ისიც მწყობრიდან გამოვა.

მეტ-ნაკლებად მსგავსი ფაქტები სხვა სკოლებშიცაა. ასე რომ, განათლების განყოფილების მცირე თანხებით ამდენი სპორტული ბაზის მშენებლობა თუ რემონტი წლების განმავლობაში გაჭიანურდება. ამიტომ შეფმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობათა ხელმძღვანელებმა უნდა ითავონ ეს საქმე.

დასახელებულ სკოლათა ფიზკულტურის მასწავლებლებს, როცა გაკვეთილის ხარისხს სთხოვ, ბაზების უქონლობას შემოგჩივლებენ და ერთგვარად თავს იმართლებენ, მაგრამ რა უნდა თქვან ჩხოროწყუს პირველი საშუალო სკოლის მესვეურებმა, როცა მათ ორი სპორტული დარბაზი აქვთ. მართალია, ძველი დარბაზი რემონტშია, მაგრამ ახალი დარბაზი ამ ორი წლის წინ მიუშენდა სკოლას. აქ შესანიშნავი პირობები უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, იგი არ თბება. აქ დღესაც არ კიდია კალათბურთის ფარები, არ მუშაობს საშხაპეები, არ უვარგათ ღია მოედნები, ტერიტორია კი საკმაოზე მეტი აქვთ. კალათბურთის ფარების გარდა, არც სარბენი ბილიკი, სახტომი ორმო, ორძელი აქვთ...

დარბაზს ჩვენთვის არ სცალია, მაღალი კლასის გაკვეთილებით არის დაკავებული, გვითხრა დაწყებითი კლასის მასწავლებელმა ლუიზა ყალიჩავამ..

საინტერესოა, რატომ ხდება ასე? რატომ იყო, რომ ჩვენს იქ ყოფნაში სპორტდარბაზში ფიზკულტურის გაკვეთილების ხარჯზე ცეკვის წრე მეცადინეობდა?

ამ კითხვებს პასუხი სჭირდება.

ლესიჭინის პირველ, ხაბუმის საშუალო და პირველ მოიდანახის არასრულ საშუალო სკოლებს ღია საცურაო აუზები აქვთ, მაგრამ არც ერთი არ მუშაობს. უფრო სწორად, მზადყოფნაშია, რათა წყალი ჩაუშვან. პირველ რიგში აუზებს სჭირდება მოპირკეთება და წყლით უზრუნველყოფა. ამ აუზების გამოყენება უსათუოდ შეიძლება. აქ არა მარტო ამ სკოლის, არამედ მეზობელი სოფლების მოსწავლეები ისწავლიან ცურვას და ჩააბარებენ მშდ ნორმატივებს...

სკოლათა ხელმძღვანელებმა გულისტკივილით შემოგვჩივლეს ინვენტარს ვერ ვშოულობთო. შარშან და წელს ამ მხრივ ძალიან მცირე თანხაა დახარჯული. ბევრ სკოლას ბურთიც კი ვერ შეუძენია და ნაღდ ანგარიშზე პირადი თანხით ყიდულობენ. განათლების განყოფილებას აქვს თანხა სასწავლო ინვენტარის შესაძენად, მაგრამ რაიონის მაღაზიებში ვერ გადაურიცხავს. ერთადერთი, სადაც შეიძლება თანხის გადარიცხვა, სოხუმის თვალსაჩინოების, ხელსაწყო იარაღების საბაზო მაღაზიაა, რომელიც, როგორც ჩანს, ვერ უზრუნველყოფს სკოლებს საჭირო ინვენტარით.

— ბევრჯერ ჩავედით სოხუმში, მაგრამ ყოველთვის ხელცარიელი წამოვედით. ჩვენთვის საჭირო სპორტული ინვენტარი იქ არ იყო. ყოველდღე ხომ ვერ ვივლით 150-200 კილომეტრით დაშორებულ მაღაზიაში. იქნებ გრაფიკი მაინც დაგვიწესონ, მაგრამ უმჯობესია მსგავსი პროფილის მაღაზია გაიხსნას ზუგდიდში, ცხაკაიაში, ან მოგვცენ საშუალება ჩვენს მაღაზიებში გადავრიცხოთ თანხა, — გვითხრა ლესიჭინის მეორე საშუალო სკოლის დირექტორმა ალვერ ხორავამ. იგივე გვითხრეს სხვა სკოლის ხელმძღვანელებმაც. მაშ, რისთვის არსებობს ასეთი მაღაზია? ვის სჭირდება ხელოვნური შეფერხება?

სკოლათა ხელმძღვანელებს ფიზკულტურის გაკვეთილის სრულყოფილად ჩატარების მიზნით მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ... მასწავლებელი, როგორ უნდა შევიდეს გაკვეთილზე, განა დასაშვებია მოსწავლე პალტოთი და ჩუსტებით თამაშობდეს ბურთს? ასეთ ფაქტს რამდენიმე სკოლაში წავაწყდით. შედარებით ნორმალურად გაკვეთილს მხოლოდ ქვედაჩხოროწყუს საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი რეზო გერსამია ატარებდა.

დაწყებით კლასებში ფიზკულტურას ძირითადი საგნის მასწავლებლები ასწავლიან, მათ შორის პენსიონერებიც. და ეს მაშინ, როცა ამ საგნის სპეციალისტები დატვირთული არ არიან. ნაშელუს არასრულ საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად უმაღლესი განათლების მქონე მურმან ჯიქია მუშაობს. მას 10 საათი აქვს კვირაში, დაწყებით კლასში კი ფიზკულტურას პენსიონერი ასწავლის.

რატომ?

ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი ადგილზე ვერ გაგვცეს.

ყველგან სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მშდ ნორმატივების ჩაბარებას. ყურადღება არ ექცევა საწრეო მუშაობას. ბევრ სკოლაში ეს საკითხი თვითდინებაზეა მიშვებული. ზოგიერთ ფიზკულტურის მასწავლებელს რაიონულ პირველობაზე მონაწილეობის მიღება აკმაყოფილებს. უფრო მაღალი მაჩვენებლებისათვის არ იბრძვის.. ყოველივე ამის გამო კანტიკუნტად თუ გამოჩნდება რომელიმე სახეობაში რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი. იქნებ ასეთმა მიდგომამ განაპირობა შარშან მეორე ახალგაზრდულ თამაშებში რაიონის ჩავარდნა, სადაც არც ერთი ქულა არ არის მოპოვებული.

როგორც ჩანს, სკოლებში ბევრი პრობლემა დაგროვდა. განათლების განყოფილების ახალ ხელმძღვანელობას ერთბაშად ყველა საკითხის გადაწყვეტა გაუჭირდება, თუ მას მხარში არ ამოუდგა პედაგოგიურ კოლექტივთა მრავალრიცხოვანი შემადგენლობა.

**ნუგზარ ქვანია,**
**„ლელოს" საკ. კორ.**

# „შევეცდები სკოლამ თავისი დანიშნულება გაამართლოს"

— **ცხინვალი** ჩვენთვის ძალოსნობაში იგივეა, რაც სომხეთისთვის ლენინაკანი, — მითხრა ერთხელ რესპუბლიკის სპორტსახკომის უფროსმა მწვრთნელმა ძალოსნობაში ვლადიმერ გურგენიძემ. ამ შედარებაში მართლაც ზუსტად აისახა ის როლი, რომელსაც სამხრეთ ოსეთი ასრულებს რესპუბლიკის ძალოსნობის განვითარებაში. აქაურმა ათლეტებმა არაერთხელ გამოიჩინეს თავი როგორც საკავშირო, ისე მსოფლიო არენაზე. ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ აქაურია საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების ახლანდელი ლიდერი, აკვრაში მსოფლიო რეკორდსმენი კახა კახიაშვილი. მანამდე



გრიგორ კოჩიევი აღსაზრდელებთან.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვალერი კოჩიევი ახალგაზრდებს შორის სამი მსოფლიოსა და 31 საკავშირო რეკორდის მფლობელი იყო. ამ რეგიონში 4 საერთაშორისო კლასის და 40-ზე მეტი სპორტის ოსტატი გაიზარდა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, აქაურების ბუნებრივ მონაცემებს მხოლოდ ნაწილობრივ თუ ვიყენებთ. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად სწორედ რომ უპრიანი იყო სამხრეთ ოსეთის სპორტკომიტეტთან ახლახან გახსნილიყო ბავშვთა და მოზარდთა ძალოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლა, რომლის დირექტორად დანიშნეს წარსულში ცნობილი ძალოსანი, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, ორგზის ჩემპიონი (1966-68 წწ.) და ორგზის რეკორდსმენი (აკვრაში), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გრიგორ კოჩიევი. დირექტორი სპორტულ სკოლაში დაგვხვდა, იგი საქართველოს ძალოსანთა ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშს ადევნებდა თვალს და ჩვენი საუბარიც შტანგის ხმაურის ფონზე წარიმართა.

— სკოლის გახსნამ პასუხისმგებლობა ერთი-ორად მოგვიმატა, მოგეხსენებათ, ნდობას გამართლება უნდა. ჩვენი მთავარი მიზანია ნიჭიერი ბავშვები მოვიზიდოთ. ამ მიზნით ვეწვიეთ ცხინვალის სკოლებს და უკვე შევარჩიეთ 150 მოზარდი. მოკლე ხანში ეს რიცხვი გაიზრდება.

**● როგორ უყურებენ მშობლები ძალოსნობას, წინააღმდეგობას ხომ არ ხვდებით?**

— სამწუხაროდ, მშობლების გარკვეულ ნაწილს ძალოსნობაზე მცდარი წარმოდგენა აქვს. ეშინიათ, რომ სპორტის ეს სახეობა ბავშვს სიმაღლეში ზრდას შეუშლის. იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მოსაზრება აბსოლუტურად მცდარია, შორს წასვლა არ დამჭირდება — პირადად მე ვარჯიში ოცი წლის ასაკში დავიწყე, ჩემი შვილები ალანი და სოსლანი (ორივე სპორტის ოსტატია) ძალოსნობის სექციაში 10 წლის ასაკში მივიყვანე, მაგრამ ორივე ჩემზე 4-5 სანტიმეტრით მაღალია. იგივე შემიძლია ვთქვა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ალექსანდრე მედოევზე, რომელიც 12 წლის ასაკში ეზიარა ძალოსნობის საიდუმლოებას და მამამისზე 4 სანტიმეტრით უფრო მაღალი გაიზარდა. ერთსაც გეტყვით — იუნიორებს შორის ორგზის საკავშირო ჩემპიონის (1964-65 წწ.) რუსლან გაბარაევის მამა 165 სანტიმეტრია, ხოლო შვილი 181 სანტიმეტრი გაიზარდა. არადა, პირადად მე არასოდეს გამიგია, რომ იგივე მიზეზით მშობელს მძლეოსნობაზე არ დაჰყავდეს შვილი, თუმცა, სპეციალისტების დაკვირვებით დადგინდა, რომ ძალოსანი მძლეოსანზე ორი სანტიმეტრით მაღალი იზრდება.

**● ძალოსნობის განვითარების მხრივ რა პერსპექტივებია ოლქის სხვა რეგიონებში?**

— სამწუხაროდ, ცხინვალის სამი რაიონიდან ორს — ზნაურსა და ლენინგორს ამ მხრივ ტრადიციები არა აქვს, ამიტომ, ჯერჯერობით ახლო მომავალში მაინც, მათთან ჯგუფების გახსნას არ ვაპირებთ. რაც შეეხება ჯავის რაიონს და მასში შემავალ კვაისას, აქ სპორტის ეს სახეობა საკმაოდ პოპულარულია და ბევრი მიმდევარიც ჰყავს, თუმცა ოფიციალური ჯგუფები დღესდღეობით არ არსებობს. ძალოსნობის დანერგვა შედარებით ადვილია კვაისაში, აქ არის პატარა დარბაზი, ორი ფიცარნაგი, შტანგები და საუნა, თუმცა ეს უკანასკნელი უპატრონოდ არის მიტოვებული. ჩვენი ვარაუდით, ზემოთ აღნიშნულ რეგიონებში ეს სახეობა ფეხს მტკიცედ მოიკიდებს. ამის იმედი იმიტომ უფრო გვაქვს, რომ მათ ჰყავთ უმაღლესი განათლების მქონე ძალოსნობის სპეციალისტები. თავდაპირველად, როგორც ჯავაში, ისე კვაისაში 50-60 მოზარდი ივარჯიშებს.

**● ძალოსნობაში მთავარი ფიზიკური მონაცემებია, ამ მხრივ კი სოფელი უამრია. აპირებთ თუ არა ამ ხარვეზის გამოსწორებას?**

— სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი რამაზ გურგენიძე დაგვპირდა, რომ ახლო მომავალში ქალაქის ინტერნატში ძალოსნობის სპორტკლასი გაიხსნება. თუ ეს ასე მოხდა, საშუალება გვექნება სოფლის ახალგაზრდობა მოვიზიდოთ, დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენს მუშაობას უფრო ეფექტურს გახდის.




ძალოსნობის სპორტულ სკოლაში ვარჯიშის დროს.

**● მწვრთნელებზე, და ვარჯიშის პირობებზე რას იტყვით?**

— ცხინვალში საკმაო რაოდენობით გვყავს კვალიფიციური სპეციალისტები. ამჯერად სკოლაში ხუთი მწვრთნელი მუშაობს. ყველა მათგანი ახალგაზრდაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ უკვე საკმაო წარმატებებს მიაღწიეს. განსაკუთრებით უნდა გამოვყო საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვანო გრიქუროვი, რომლის აღზრდილებმა არაერთხელ გამოიჩინეს თავი როგორც რესპუბლიკის, ისე საკავშირო ჩემპიონატებში. ნაყოფიერად მუშაობს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ახალგაზრდებს შორის ევროპის ექსჩემპიონი ალექსანდრე მედოევიც. მათ გვერდით კიდევ რამდენიმე ნიჭიერი მწვრთნელია, რომლებიც, ვფიქრობ, მომავალში თავის სიტყვას იტყვიან. რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას — სკოლა ამ მხრივ საშუალო დონეზეა, მაგრამ ეს მდგომარეობა თუ დღევანდლამდე ასე თუ ისე გვაკმაყოფილებდა, მომავალში, ცხადია, საკმარისი აღარ იქნება. შენობას აუცილებლად სჭირდება რემონტი და რეკონსტრუქცია, უნდა გაფართოვდეს დარბაზი, პარალელურად იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ თანამედროვე ტიპის საკმარისი რაოდენობის სპორტული ინვენტარი შევიძინოთ. იმედი გვაქვს, ამ საქმეში დახმარებას გაგვიწევენ შესაბამისი ორგანოები, ჩვენი მხრიდან კი შევეცდებით, სკოლამ თავისი დანიშნულება გაამართლოს — საქართველოს ნაკრებს მომავალში ღირსეული შევსება მივცეთ.

**ჯემალ კახრაძე,**
**„ლელოს" სპეც. კორ.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 11 ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

**„სპარტაკი“ — „დინამო“ მნ. 3:2.**

**„არარატი“ — „დინამო“ კ. 0:3.**

• • •

## დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივს“ შორის.

თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1. დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს თევზაძემ და ტუღუშმა.

მასპინძელთა შემადგენლობა: ხაპოვი, გოგოლაძე, თარბა, მაჭავარიანი, თევზაძე, ჯამარაული, ნემსაძე, ცვეიბა (ბაკურაძე), კერძევაძე (ტუღუში), ყიზილაშვილი (ხორგუაშვილი), ყაველაშვილი (ხურცილავა).

## ჰოლანდიისკენ...

**ამხანაგური** საერთაშორისო მატჩის ჩასატარებლად ჰოლანდიის მიემგზავრება სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველი ნაკრები.

ეს თამაში დიდ ინტერესს იწვევს, ვინაიდან მინდორზე ერთმანეთს შეხვდებიან ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელები. მაგრამ, როგორც იუწყებიან, ცენტრალური ტელევიზია მატჩის ტრანსლაციას არ აპირებს. ამ მატჩის ტრანსლაციის მიმართ ინტერესი მხოლოდ საბჭოთა ტელევიზიამ გამოიჩინა. რაც შეეხება უცხოეთის ტელეკომპანიებს, ეს საგაზაფხულო ამხანაგური შეხვედრა ნაკლებად აღელვებთ და მარტო ერთი ქვეყნისთვის ტელეხაზის სალიცენზიო ღირებულება ძვირია — 15 ათასი დოლარი. წლეულს, საბჭოთა ტელევიზიას დაგეგმილი აქვს ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატის, უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირის, ჰოკეის ევროპის საკლუბო ტურნირების, ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალისა და სხვა მრავალი სპორტული შეჯიბრების გადაცემა, ამიტომაც ასეთი თანხის გამოყოფა ახლა მეტად ძნელია.

არის სხვა პრობლემებიც. კიევის „დინამო“, მაგალითად, მოითხოვა, რომ მისი მატჩების ტრანსლაცია მოხდეს მხოლოდ ჩანაწერის მეშვეობით, მოგვიანებით. ეს იმის გამო სურთ, რომ სტადიონზე მოვიდეს მაყურებელთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა.

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

ამ ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები.

ყოველ ტურნირში დარჩა 4-4 გუნდი, ნახევარფინალური წყვილების წილისყრა მოხდა გუშინ, მაისში გაიმართება ფინალური შეხვედრები.

**ჩემპიონთა თასი.** უცხოეთის პრესა დიდ ადგილს უთმობდა თურქეთის „გალათასარაისა“ და „მონაკოს“ მატჩს. თურქ ფეხბურთელებს პირველი თამაში მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 1:0, საპასუხო შეხვედრა მათ ფრედ დაამთავრეს (1:1) და ნახევარფინალში გავიდნენ. ვინაიდან სტამბოლის სტადიონი დისკვალიფიცირებული იყო ჯერ კიდევ მეთექვსმეტედფინალურ მატჩში მომხდარი უწესრიგობისთვის, მეოთხედფინალის ეს საპასუხო თამაში შედგა ქალაქ კიოლნში (გფრ), ამის მიუხედავად თურქი გულშემატკივრები იქაც დიდი რაოდენობით ჩავიდნენ, გაძლიერებული პოლიციის რაზმები ამაოდ ებრძოდნენ „გალათასარაის“ მეტისმეტად აგზნებულ გულშემატკივრებს, „სტუმრებმა“ სტადიონის მახლობლად ააფეთქეს 4 ავტომანქანა, ბევრი თურქი ქომაგი დააპატიმრეს, მაგრამ თვით მატჩში ზედმეტი ექსცესები არ ყოფილა, მშვიდად მიმდინარეობდა და ფრედ დამთავრდა (1:1), საერთო გამარჯვებაც სტამბოლელ ფეხბურთელებს დარჩათ. საინტერესოა, რომ ამ მატჩის სანახავად კიოლნში ჩავიდნენ თურქეთის პრემიერ-მინისტრი თურგუთ ოზალი და მონაკოს პრინცი რენიე.

მადრიდის „რეალისა“ და ჰოლანდიის „ეინდჰოვენის“ შეხვედრაში ნახევარფინალის მონაწილე მხოლოდ დამატებით დროში გამოვლინდა. (პირველი მატჩის შედეგია 1:1). თამაშის ბედი გადაწყვიტა ესპანელი რაფაელ მარტინის მიერ 105-ე წუთზე გატანილმა ბურთმა.

თასის მოპოვების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია იტალიის „მილანი“, რომელმაც თავის მინდორზე ანგარიშით 1:0 დაამარცხა გფრ-ის „ვერდერი“. გადამწყვეტი ბურთი სტუმრების კარში გაიტანა „მილანში“ მოთამაშე ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა ვან ბასტენმა.

**თასების მფლობელთა თასი.**

ამ ტურნირის ოთხ მატჩში სულ 4 ბურთი გავიდა, ჰოლანდიის „როდამ“ ანგარიშით 2:1 დაამარცხა ბულგარეთის „სრედეცი“, ხოლო ბელგიის „მეჰელენმა“ — ფრანკფურტის „აინტრაჰტი“ — 1:0, სხვა ორ შეხვედრაში ბურთი არ გატანილა.

**უეფა-ს თასი.** აქ საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო იტალიის გუნდების „ნაპოლისა“ და „იუვენტუსის“ შეხვედრა. მეოთხედფინალის პირველ მატჩში „იუვენტუსმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 2:0 და ნახევარფინალის საგზურიც თითქოს განაღდებული ჰქონდა, მაგრამ „ნაპოლიმ“ ამ დღეს ბრწყინვალედ ითამაშა, მატჩის ძირითად დროში მარადონამ და კარნევალემ ორივე ბურთი გაქვითეს, ხოლო დამატებითი დროის 119-ე წუთზე რენიკამ გაიტანა გოლი, რომელმაც გამარჯვება ნეაპოლელებს მოუტანა.

### ჩემპიონთა თასი

### მეოთხედფინალები

**„სტიაუა“ (რუმინეთი)** — „გეტებორგი“ (შვეცია) 5:1 (0:1).

**„მილანი“ (იტალია)** — „ვერდერი“ (გფრ) 1:0 (0:0).

**„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი)** — „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) 2:1 (1:1).

**„გალათასარაი“ (თურქეთი)** — „მონაკო“ (საფრანგეთი) 1:1 (1:0).

### თასების მფლობელთა თასი მეოთხედფინალები

**„მეჰელენი“ (ბელგია)** — „აინტრაჰტი“ (ფრანკფურტი, გფრ) 1:0 (0:0).

„როდა“ (ჰოლანდია) — **„სრედეცი“ (ბულგარეთი)** 2:1, დამატებითი პენალტებით — 3:4 (1:2).

**„სამპდორია“ (იტალია)** — „დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) 0:0 (1:1).

**„ბარსელონა“ (ესპანეთი)** — „ორჰუსი“ (დანია) 0:0 (1:0).

### უეფა-ს თასი მეოთხედფინალები

**„დინამო“ (დრეზდენი, გდრ)** — „ვიქტორია“ (რუმინეთი) 4:0 (1:1).

**„ბაიერნი“ (გფრ)** — „ჰართსი“ (შოტლანდია) 2:0 (0:1).

**„ნაპოლი“ (იტალია)** — „იუვენტუსი“ (იტალია) — 3:0 დამატებით დროში (0:2).

„რეალ-სოსიედადი“ (ესპანეთი) — **„შტუტგარტი“ (გფრ)** 1:0 (0:1). დამატებითი პენალტებით გაიმარჯვა „შტუტგარტმა“ — 4:2.

**შენიშვნა:** ხაზგასმულია გუნდები, რომლებიც გავიდნენ ნახევარფინალში. ფრჩხილებში აღნიშნულია პირველი მატჩების შედეგები.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

### ჩეხოსლოვაკია

**მე-17 ტური.** „სლავია“ — „ბოჰემიანსი“ 1:3, „სპარტა“ — „შკოდა“ 4:1, „ბანსკა ბისტრიცა“ — „ბანიკი“ 1:1, „რუდა ჰვეზდა“ — „დუკლა“ 5:0, „სიგმა“ — „სლოვანი“ 2:1, „ინტერი“ — „დუნაისკა სტრედა“ 1:0, „ტრნავა“ — „ჰრადეც კრალოვი“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„სპარტა“** | **17** | **49-13** | **28** |
| **„ბანიკი“** | **17** | **26-14** | **24** |
| **„ვიტკოვიცე“** | **17** | **35-20** | **19** |

### პორტუგალია

**29-ე ტური.** „ბელენენსეში“ — „პორტო“ 1:1, „ბოავიშტა“ — „სპორტინგი“ 2:0, „ბენფიკა“ — „ფაფე“ 4:0, „გიმარაეში“ — „მადეირა“ 1:1, „ესპინიო“ — „სეტუბალი“ 1:5, „ფარენსე“ — „ლეიქსოეში“ 3:1, „ვისეუ“ — „ბრაგა“ 1:5, „პენაფიელი“ — „ესტრელა“ 0:0, „პორტიმონენსე“ — „შავიში“ 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ბენფიკა“** | **29** | **46-10** | **48** |
| **„პორტო“** | **29** | **38-14** | **41** |
| **„ბოავიშტა“** | **29** | **42-20** | **37** |

### ესპანეთი

**24-ე ტური.** „ხიხონი“ — „ბარსელონა“ 0:2, „კადისი“ — „ატლეტიკო“ 2:1, „მალაგა“ — „სევილია“ 1:0, „ესპანიოლი“ — „ბილბაო“ 1:0, „ელჩე“ — „ლოგრონიესი“ 1:2, „ოსასუნა“ — „მურსია“ 1:0, „სან-სებასტიანი“ — „ვალიადოლიდი“ 1:0, „ბეტისი“ — „სარაგოსა“ 2:1, „რეალი“ — „ოვიედო“ 1:0, „ვალენსია“ — „ვიგო“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„რეალი“** | **23** | **58-23** | **39** |
| **„ბარსელონა“** | **24** | **50-19** | **36** |
| **„ვალენსია“** | **24** | **28-18** | **29** |

### იუგოსლავია

**მე-19 ტური.** „სარაევო“ — „პარტიზანი“ 0:0 (4:5), „სპლიტი“ — „ნოვი სადი“ 0:0 (2:4), „ზაგრები“ — „ზენიცა“ 0:2, „კრუშევაცი“ — „ნიში“ 4:3, „ოსიეკი“ — „სუბოტიცა“ 3:1, „ტიტოგრადი“ — „რიეკა“ 1:0, „სკოპლე“ — „მოსტარი“ 3:2, „რადი“ — „ჟელეზნიჩარი“ 2:1, „ცრვენა ზვეზდა“ — „ტუზლა“ 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ნოვი სადი“** | **19** | **24-18** | **23** |
| **„რადი ბელგრადი“** | **19** | **25-15** | **22** |
| **„დინამო“ (ზაგრები)** | **19** | **28-17** | **21** |

### ბულგარეთი

**მე-17 ტური.** „სრედეცი“ — „რუსე“ 3:0, „სლივენი“ — „ვიტოშა“ 0:1, „თრაკია“ — „ეტირი“ 1:1, „სტარა ზაგორა“ — „ჩერნო მორე“ 3:0, „პირინი“ — „ლოკომოტივი“ (პლოვდივი) 3:0, „სლავია“ — „ვრაცა“ 3:1, „სპარტაკი“ (ვარნა) — „ლოკომოტივი“ (სოფია) 0:0, „ორეხოვიცა“ — „პერნიკი“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„სრედეცი“** | **17** | **60-14** | **30** |
| **„ვიტოშა“** | **17** | **33-21** | **22** |
| **„თრაკია“** | **17** | **33-21** | **21** |

### რუმინეთი

**მე-18 ტური.** „სტიაუა“ — „ტირგუ მურეში“ 7:0, „ვიქტორია“ — „კრაიოვა“ 2:0, „არჯესი“ — „რაპიდი“ 1:0, „ორადეა“ — „კლუჟი“ 5:2, „სიბიუ“ — „სპორტული“ 2:1, „ბრაშოვი“ — „მორენი“ 2:1, „კონსტანცა“ — „ჰუნედოარა“ 1:0, „გალატი“ — „დინამო“ 0:2, „ბაკაუ“ — „ოლტი“ 1:0.

| | | |
|---|---|---|
| **„დინამო“** | **18** | **35** |
| **„სტიაუა“** | **18** | **35** |
| **„ვიქტორია“** | **18** | **25** |

### ჰოლანდია

**23-ე ტური.** „ტვენტე“ — „ცვოლე“ 3:1. „როდა“ — „აიაქსი“ 0:0, „ვალვიკი“ — „ვეენდამი“ 0:1, „ჰარლემი“ — „დენ ბოში“ 0:0, გრონინგენი“ — „ვენლო“ 7:3, „უტრეჰტი“ — „ვოლენდამი“ 2:0, „სპარტა“ — „სიტარდი“ 1:0, „ეინდჰოვენი“ — „ტილბურგი“ 7:0, „მაასტრიჰტი“ — „ფეიენოორდი“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ეინდჰოვენი“** | **23** | **56-21** | **37** |
| **„აიაქსი“** | **23** | **46-25** | **31** |
| **„ტვენტე“** | **23** | **35-17** | **29** |

### ბელგია

**24-ე ტური.** „ბეერსკოტი“ — „ვარეგემი“ 1:1, „რესინგი“ — „სტანდარდი“ 1:3, „გენტი“ — „სერკლი“ 1:1, „ლოკერენი“ — „სენტ ტრუდენი“ 4:2, „ლიეჟი“ — „ანდერლეჰტი“ 2:0, „შარლერუა“ — „ანტვერპენი“ 1:4, „ბრიუგე“ — „ლიერსი“ 3:1, „მოლენბეკი“ — „ბევერენი“ 3:2, „კორტრიკი“ — „მეჰელენი“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„მეჰელენი“** | **24** | **49-14** | **41** |
| **„ანდერლეჰტი“** | **24** | **57-24** | **36** |
| **„ლიეჟი“** | **24** | **49-16** | **34** |

### იტალია

**მე-20 ტური.** „ინტერი“ — „ვერონა“ 1:0, „იუვენტუსი“ — „ასკოლი“ 2:0, „ფიორენტინა“ — „ჩეზენა“ 4:1, „ბოლონია“ — „კომო“ 1:0, „სამპდორია“ — „პიზა“ 2:0, „ატალანტა“ — „ტორინო“ 1:0, „ლაციო“ — „მილანი“ 1:1, „პესკარა“ — „ნაპოლი“ 0:0, „ლეჩე“ — „რომა“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ინტერი“** | **20** | **35-10** | **34** |
| **„ნაპოლი“** | **20** | **40-14** | **31** |
| **„სამპდორია“** | **20** | **29-10** | **29** |

### გფრ

**მე-20 ტური.** „ბოჰუმი“ — „კიოლნი“ 1:3, „აინტრაჰტი“ — „სენტ პაული“ 1:1, „კარლსრუე“ — „კიკერსი“ 1:0, „შტუტგარტი“ — „ბაიერნი“ 1:2, „ჰამბურგი“ — „ჰანოვერი“ 4:1, „კაიზერსლაუტერნი“ — „დორტმუნდი“ 3:2, „ლევერკუზენი“ — „ვერდერი“ 1:0, „ნიურნბერგი“ — „იურდინგენი“ 1:0, „მიონხენგლადბახი“ — „მანჰეიმი“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ბაიერნი“** | **20** | **40-16** | **31** |
| **„კიოლნი“** | **20** | **34-15** | **26** |
| **„ჰამბურგი“** | **19** | **36-21** | **25** |
| **„ვერდერი“** | **20** | **32-21** | **25** |

### გდრ

**მე-15 ტური.** „კარლ-მარქს-შტადტი“ — „კარლ ცეისი“ 1:1, „კოტბუსი“ — „როსტოკი“ 2:2, „ლოკომოტივი“ (ლეიპციგი) — „ჰემი“ 0:0, „დინამო“ (ბერლინი) — „ვისმუთ აუე“ 2:1, „ცვიკაუ“ — „უნიონი“ (ბერლინი) 2:0, „დინამო“ (დრეზდენი)—„მაგდებურგი“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„დინამო“ (დრეზდ.)** | **15** | **39-15** | **24** |
| **„დინამო“ (ბერ.)** | **15** | **32-17** | **19** |
| **„ჰანზა როსტოკი“** | **15** | **21-15** | **19** |

**(საქ. ინფ.)**

## ⊙ ფეხბურთი

### „ბაია“ — ბრაზილიის ჩემპიონი

ბრაზილიურ ფეხბურთში ბოლო ხანს ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ადრინდელ ფავორიტებს მხარს უსწორებენ კლუბები, რომელთა შესახებ უწინ საერთაშორისო ფეხბურთში ბევრი არაფერი იცოდნენ.

ასე მაგალითად, ამ ქვეყნის ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სალვადორის „ბაია“ და პორტუ-ალეგრეს „ინტერნასიონალი“. როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, ამ გუნდების წარმატება თვით ბრაზილიელთათვისაც კი მოულოდნელი იყო. „ბაიამ“ პირველი ნახევარფინალური მატჩი ფრედ დაამთავრა ცნობილ „ფლუმინენსესთან“ (თამაშს 110 ათასი მაყურებელი დაესწრო), ხოლო საპასუხო შეხვედრა კონტრშეტევებზე ააგო და გამარჯვებას მიაღწია.

პარალელურ ნახევარფინალში „ინტერნასიონალმა“ პირველი მატჩი ფრედ დაამთავრა „გრემიოსთან“, მეორე მოიგო და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

პირველ გადამწყვეტ შეხვედრაში „ბაიამ“ ანგარიშით 2:1 სძლია „ინტერნასიონალს“ (ორივე ბურთი ბობომ გაიტანა), საპასუხო მატჩში პორტუ-ალეგრეში „ინტერნასიონალმა“ მხოლოდ ფრეს მიაღწია და ჩემპიონობა „ბაიას“ დარჩა.

აღსანიშნავია, რომ სალვადორელი ფეხბურთელები მეორედ ხდებიან ბრაზილიის ჩემპიონები. პირველად ეს მოხდა 30 წლის წინ, როცა „ბაიამ“ გადამწყვეტ შეხვედრაში განთქმულ „სანტოსს“ (სან-პაულუ) სძლია, მაგრამ იმ მატჩში „სანტოსის“ შემადგენლობაში პელე არ გამოდიოდა.

### „ჩვენს ფეხბურთს მომავალი აქვს“

ასე ფიქრობს გფრ-ის ნაკრების მწვრთნელი ფრანც ბეკენბაუერი, თუმცა, შარშანდელმა სეზონმა მის გუნდს ბევრი უსიამოვნება მოუტანა.

ფ. ბეკენბაუერს მიაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სიძნელეები გუნდმა უკვე დასძლია, მწვრთნელს დიდად აიმედებს რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა ოსტატის გამოჩენა: „ხომ ფაქტია, რომ დაწინაურდნენ ჰესლერი და მიულერი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კარგად ვმუშაობთ ჭაბუკებთან.“ ფ. ბეკენბაუერის ეს განცხადება ჟურნალისტებმა დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის ბერტი ფოგტსის მიმართ გამოვლენილ „რევერანსად“ მიიჩნიეს.

გფრ-ის ნაკრების ერთ-ერთი პრობლემა იყო რიგიანი დირიჟორის უყოლობა. ახლა ამ ფუნქციებს კარგად ასრულებს 22 წლის ო. თონი.

ფ. ბეკენბაუერის აზრით, დასავლეთგერმანულ ფეხბურთს დიდ ზიანს აყენებს საუკეთესო ფეხბურთელთა უცხოეთის ქვეყნებში წასვლა. იგი ფიქრობს, რომ ბუნდესლიგის გუნდების რაოდენობა 16-მდე უნდა შემცირდეს და თუ დასავლეთ გერმანიის ნაკრები 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს ვერ მოიპოვებს, იგი დაუყოვნებლივ გადადგება თავისი პოსტიდან.

### კლაუს ალოფსის უარი

ცნობილმა დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელმა კლაუს ალოფსმა, რომელიც ამჟამად საფრანგეთის „მარსელში“ გამოდის, უარი შეუთვალა თავისი ქვეყნის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ფრანც ბეკენბაუერს, რომელმაც ეს ფეხბურთელი მიიწვია ბულგარეთის გუნდთან ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად.

კ. ალოფსმა თავისი უარი მწვრთნელთან პირადი დამოკიდებულებით ახსნა.

— ექვსი თვის წინ, როცა მძიმე ტრავმით ვიწექი და დიდხანს ვერ ვთამაშობდი, — განუცხადა ჟურნალისტებს კ. ალოფსმა, — ბეკენბაუერმა არც ერთხელ არ ინება დაერეკა, ან უბრალოდ, გაეგო რა მდგომარეობაში ვიყავი. მე ეს ძალიან მეწყინა...



### რუმენიგე ტოვებს ფეხბურთს

ცნობილმა დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ, რომელიც ახლა 33 წლისაა და შვეიცარიის „სერვეტში“ გამოდის, გადაწყვიტა თავი დაანებოს თამაშს.

კ.-ჰ. რუმენიგემ 95-ჯერ ითამაშა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებში. პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერის 15 წლის მანძილზე იგი იყო ევროპის ჩემპიონი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, ორჯერ ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალში.

„პენსიაზე“ გასვლის წინ ფეხბურთელმა განაცხადა:

— ხეირიანად არც მაქვს გადაწყვეტილი რა საქმეს მოვკიდო ხელი მომავალში, მაგრამ მწვრთნელად რომ არ ვიმუშავებ, ეს ახლავე კარგად ვიცი. ალბათ, რომელიმე კლუბში სელექციონერად შევუდგები საქმიანობას.

### ჰისენი დიდად ფასობს

ცნობილ შვედ ფეხბურთელს ჰისენს, რომელიც იტალიის „ფიორენტინაში“ თამაშობს, დიდად აფასებენ ფეხბურთის სამყაროში. მან „ფიორენტინის“ ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ აღარ აპირებს ამ კლუბთან ახალი კონტრაქტის დადებას და ივნისში დატოვებს იტალიას. მას ასეთი არჩევანი აქვს: გადავიდეს ან მიუნხენის „ბაიერნში“ ან ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში“.

ამ ფაქტის წინაშე რომ დადგა, „ფიორენტინამ“ სასწრაფოდ გააფორმა ხელშეკრულება 21 წლის ბრაზილიელ მცველ ანდრე კრუზთან, რომელიც აქამდე „პონტე პრეტაში“ თამაშობდა. ეს გარიგება 1.100.000 დოლარი დაჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# სამაგალითო გამარჯვება

(დასასრული)

მთავარი კოზირია, და რაკან მწვრთნელმა დროებით „დაასვენა" პუსტოგვარი და ქელუდოკი, მინსკელთა თამაშის ჩვეული რიტმი დაირღვა. ამ მომენტში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტაიმის მოგებას და „დინამომ" მართალია, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მიაღწია მიზანს.

შესვენების შემდეგ შენგელიამ მარტივ სიტუაციაში მეხუთე ჯარიმა მიიღო და მოედანი დატოვა. ეს დიდი დანაკლისი იყო, მით უფრო, რომ თბილისელთა ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელი ამჯერადაც ბრწყინვალედ თამაშობდა. მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ უთქვამთ, მართლაც სწორი ყოფილა. „დინამომ" მისთვის უმძიმეს წუთებში დაამტკიცა, რომ უშენგელიოდაც შეუძლია თამაში და მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება. კრიტიკულ მომენტში, როგორც უნდა მომხდარიყო კიდეც, თამაშის მთელი სადავეები ხელთ იგდო დარსაძემ და წინ გაუძღვა თანაგუნდელებს. ამაში მას მთელი გუნდი და პირველ ყოვლისა კოლიჩევი დაეხმარა. დინამოელებმა საბოლოოდ ხელთ იგდეს ინიციატივა და მსაჯის საფინალო სასტვენამდე შეინარჩუნეს კიდეც იგი (ზოგ მომენტში მასპინძლები თერთმეტი ქულითაც კი იყვნენ დაწინაურებული).

ეს გამარჯვება მრავალმხრივ არის სამაგალითო. მან დინამოელთა მდგომარეობა მხოლოდ ნაწილობრივ გამოაკეთა, მაგრამ გუნდს და მის გულშემატკივრებს გარკვეული რწმენა შესძინა. ახლა უკვე იმაზეც შეიძლება ფიქრი, რომ თბილისელებს უარეს შემთხვევაშიც კი შესწევთ უნარი იბრძოლონ უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის.

**ნოდარ ბუზუშვილი.**

### სხვა მატჩები

**გაიმართა** კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ რამდენიმე მატჩი.

**მოსკოვი.** ადგილობრივმა დინამოელებმა განმეორებითი შეხვედრაც დათმეს კიევის „სტროიტელთან" — 98:112 (43:51).

**დონეცკი.** „შახტიორმა" პირველი მატჩი მოუგო ვილნიუსის „სტატიბას" 97:94 (53:52), მეორე დღეს კი ლიტველმა კალათბურთელებმა რევანში აიღეს — 88:72 (44:41).



### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 მარტისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მ.) | 38 | 21 | 17 | 59 |
| ასკ (ალმა-ათა) | 34 | 23 | 11 | 57 |
| „სტროიტ." (კ.) | 30 | 24 | 6 | 54 |
| „სტატ." (ვილნ.) | 34 | 17 | 17 | 51 |
| „ჟალგ." (კაუნ.) | 26 | 24 | 2 | 50 |
| ცსკა | 29 | 20 | 9 | 49 |
| „დინამო" (თბ.) | 35 | 14 | 21 | 49 |
| „კალევი" (ტალ.) | 30 | 15 | 15 | 45 |
| რტი (მინსკი) | 29 | 13 | 16 | 42 |
| ვეფ (რიგა) | 35 | 6 | 29 | 41 |
| „შახტ." (დონ.) | 32 | 8 | 24 | 40 |
| „სპარტ." (ლენ.) | 32 | 7 | 25 | 39 |

### გუშინ...

**განმეორებით შეხვედრაში კვლავ წარმატებას მიაღწიეს თბილისის დინამოელებმა, რომლებმაც დამატებით დროში მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე 89:88 (81:81, 48:48).**



# სტარტზეა რესპუბლიკური ჩემპიონატი

**დღეს** თბილისში, ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში იწყება კალათბურთელ ვაჟთა მორიგი რესპუბლიკური ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები, ტრადიციულად, ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. პირველ ჯგუფში იასპარეზებენ: „სინათლე" (თბილისი), საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, სპი, ბათუმი, „მართვე" (თბილისი), „დინამო" (თბილისი) და ჭიათურა. მეორე ჯგუფში გამოვლენ: თსუ, ქუთაისი, სოხუმი, რუსთავი, „შევარდენი" (თბილისი) და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

როგორც ხედავთ, ჩემპიონატის მონაწილეთა შორის სამი ახალი კოლექტივია — ჭიათურა, თბილისის „შევარდენი" და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივი. მათ შარშანდელ ჩემპიონატში მოასპარეზე თელავისა და გორის კალათბურთელთა ადგილები დაიკავეს.

შეჯიბრების ჩატარებისა და ადგილების განაწილების ფორმულა ისეთივეა, როგორც შარშან იყო. ორ-ორ მატჩს გუნდები შინ ჩაატარებენ და ორ-ორს სტუმრად. ტურნირის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ ჯგუფებში გამარჯვებული კოლექტივები შეხვდებიან მეორე ადგილებზე გასულ გუნდებს. ეს იქნება ნახევარფინალური თამაშები, რომლის შედეგადაც პირველი და მესამე ადგილებისთვის მებრძოლ სუპერფინალისტთა ვინაობა გამოვლინდება. გადამწყვეტ ეტაპზე მეტოქეები ორჯერ ეთამაშებიან ერთმანეთს, მაგრამ თუ საჭირო გახდა, მესამე მატჩიც დაინიშნება. ამ პრინციპით განაწილდება რესპუბლიკური ჩემპიონატის ყველა ადგილი.

რამდენიმე სიტყვა კალენდარზეც. შეხვედრები მეტწილად შაბათსა და კვირას გაიმართება, მაგრამ ამ პრინციპის დაცვა მუდამ შესაძლებელი არ იქნება. საქმე ის არის, რომ რესპუბლიკურ ჩემპიონატში მოთამაშე ბევრი კალათბურთელი თბილისის „დინამოს" ძირითად და სათადარიგო შემადგენლობაში ირიცხება, დინამოელებს კი წლეულს, მოგეხსენებათ, საკმაოდ რთული კალენდარი და ბევრი პრობლემა აქვთ. გარდა ამისა, „დინამოს" დუბლიორებს საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში რესპუბლიკის ღირსების დაცვა მოუხდებათ. „სინათლის", ფიზკულტურის ინსტიტუტის და უნივერსიტეტის კალათბურთელები წლეულს საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოხვედრის უფლებისთვის იბრძვიან. ყველაფერი ეს კალენდრის სტაბილურობას, ცხადია, ხელს ვერ შეუწყობს, მაგრამ ნათქვამია, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო. ჩემპიონატის მსაჯთა კოლეგია ყოველმხრივ შეეცდება, რომ თავისუფალი დღეები მაქსიმალური დატვირთვით გამოიყენოს.

გთავაზობთ 18 და 19 მარტის მატჩების კალენდარს. თბილისში, კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში ამ დღეს სამი კალენდარული მატჩი გაიმართება: უნივერსიტეტი (თბილისი) — „შევარდენი" (თბილისი) — დასაწყისი 12.00 საათზე; საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — ჭიათურა — 13.15 ს.; ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სინათლე" (თბილისი) — 15.00 ს. ქუთაისის გუნდი შაბათკვირას თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კალათბურთელებს უმასპინძლებს, სოხუმისა — რუსთავის კოლექტივს, ბათუმი კი თბილისის „მართვეს".

# დივიზიონების მიხედვით

**გაიმართა** პროფესიონალ ჰოკეისტთა ეროვნული ჩემპიონატის (ნხლ) მორიგი ტურის მატჩები. გაგაცნობთ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების შედეგებს: „მონრეალი" — „ვანკუვერი" 5:2, „ვინიპეგი" — „კალგარი" 1:0, „რეინჯერსი" — „ლოს-ანჯელესი" 6:4, „კალგარი" — „ფილადელფია" 6:3, „ედმონტონი" — „მონრეალი" 3:0, „რეინჯერსი" — „ტორონტო" 7:4, „კალგარი" — „მონრეალი" 2:3, „ნიუ ჯერსი" — „რეინჯერსი" 6:3, „ვინიპეგი" — „ედმონტონი" 4:7, „ჰარტფორდი" — „მონრეალი" 1:6, „რეინჯერსი" — „ბოსტონი" 0:5, „პიტსბურგი" — „ედმონტონი" 2:4.

დივიზიონების მიხედვით ლიდერთა სამეულების სატურნირო მდგომარეობა ასე გამოიყურება:

**პატრიკის დივიზიონი**

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „რეინჯერსი" | 67 | 76 |
| „ვაშინგტონი" | 67 | 74 |
| „პიტსბურგი" | 66 | 73 |

**ადამსის დივიზიონი**

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „მონრეალი" | 68 | 97 |
| „ბოსტონი" | 66 | 72 |
| „ბუფალო" | 67 | 66 |

**ნორისის დივიზიონი**

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „დეტროიტი" | 67 | 71 |
| „ჩიკაგო" | 67 | 58 |
| „სენტ ლუისი" | 66 | 67 |

**სმაიტის დივიზიონი**

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „კალგარი" | 67 | 96 |
| „ედმონტონი" | 68 | 76 |
| „ლოს ანჟელესი" | 67 | 74 |

(საქ. ინფ.)




### ლიმილი, ლიმილი

ამ დღეებში გამომცემლობა „ხელოვნებამ" სერიით „ქართული კულტურის მოღვაწენი მეგობრულ შარჟებში" გამოსცა თამილა და დავით ბუზუკაშვილების მიერ შედგენილი კრებული „ლიმილი, ლიმილი"... რომელიც მსოფლიოს ჭადრაკის ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს ეძღვნება. ჭადრაკის მოყვარულნი ინტერესით გაეცნობიან სხვადასხვა წლებში ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში მაია ჩიბურდანიძეზე გამოქვეყნებული წერილების ფრაგმენტებს, ჩანახატებს, მეგობრულ შარჟებს...

# სიეტლის ბაზები

სიეტლს 1990 წლის კეთილი ნების თამაშების ჩასატარებლად ბევრი პირველხარისხოვანი ბაზა აქვს. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ „კინგდოუმი" (ფეხბურთელთა საწვრთნელი ბაზა) და „სიეტლ ხოუკსი" (ბეისბოლის დარბაზი), ეს ბაზები თავისუფლად იტევს 60-65 ათას მაყურებელს, „ტეკომა დოუნი" მსოფლიოში ყველაზე დიდ ხის სპორტულ ბაზას წარმოადგენს. აქ იასპარეზებენ ჰოკეისტები და ფიგურისტები.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბაზა, რომელიც 1987 წელს გადაკეთდა, 73 ათას კაცზეა ნაანგარიშევი. ამ სტადიონზე მძლეოსანთა შეჯიბრება მოეწყობა. „სენტერ კოლიზიუმი", რომელიც 1962 წელს მსოფლიო გამოფენისთვის აიგო, კალათბურთელებსა და ძალოსნებს მიიღებს. ამავე ბაზის ცენტრალურ არენაზე ხელბურთელთა და მოკრივეთა ტურნირები გაიმართება. „მერიმურ პარკის" ველოდრომზე ძალებს მოსინჯავენ ველოსიპედისტები.

აფროსანთა შეჯიბრება შილშოულის ყურეში გაიმართება, ნიჩბოსნებისა კი „მაუნტ ბეიკერის" სანიჩბოსნო ცენტრში. იგი ვაშინგტონის ტბაზეა განლაგებული. სიეტლში ბევრი სხვა საუკეთესო არენაც არის.

### „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების ... ვარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მორიგი, მეთერთმეტე ტირაჟების შედეგები, რომლებიც 12 მარტს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** დაშვებულია 2.035.620 ვარიანტი. ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (50 ვარიანტი) მოგება 1950 მანეთია, ოთხისთვის (2903) — 34, სამისთვის (47199) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** დაშვებულია 22.003.194 ვარიანტი. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (43 ვარიანტი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (8235) — 155, სამისთვის (251 887) — 7.

მეთერთმეტე ტირაჟების მოგებები გაიცემა 27 მარტიდან 27 აპრილის ჩათვლით.

• • •

სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ გადაწყვიტა, რომ ყოველი ტირაჟის შედეგების შეჯამების შემდეგ „სპორტლოტოს" მოყვარულებს შეატყობინოს, თუ რამდენი მოგებული ვარიანტი იყო ჩვენს რესპუბლიკაში. მაშ ასე, გთავაზობთ მე-11 ტირაჟის მოგებებს საქართველოში:

**„სპორტლოტო 6-45"-დან:** 6 ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრი — 2 ვარიანტი, ოთხი — 59, სამი — 821.

**„სპორტლოტო 5-36"-დან:** 5 ციფრი — 2, ოთხი — 210, სამი — 6365.

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჭიჭინაძე**

**თბილისის სპორტის სასახლე**

მრეტები

19 მარტი
**მინიფეხბურთი**
საერთაშორისო შეხვედრა
**„მრეტები" (თბილისი) — „ლაპა" (ჰელსინკი)**
დასაწყისი 19 ს.
ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში 18-19 მარტს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

**თბილისის სპორტის სასახლე**

**21 და 22 მარტს სპორტის სასახლესთან არსებული სპორტულ-ქორეოგრაფიული, მუსიკალურ-თეატრალური ახალგაზრდული შემოქმედებითი გაერთიანება „მეტეხი-89" ატარებს კონცერტს**
**„თბილისური მოზაიკა"**
**მონაწილეობენ:**
ირაკლი უჩანეიშვილი
ზურაბ ქაფიანიძე
მედეა ძიძიგური
მზია კვირიკაშვილი — იუმორი — პაროდია
ირინა ირემაშვილი — იუმორი
მედუდუკეთა ანსამბლი გრიშა ქსოვრელის ხელმძღვანელობით
მოცეკვავეთა ანსამბლი „მეტეხი"—ხელმძღვანელი გ. ფოცხიშვილი
ოჰანეს კასიანი — დუდუკი.
სურენ პოლოსიანი — ვოკალი
სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „აისი", ხელმძღვანელი გ. მახარაშვილი
სტუმრები:
კარო აირაპეტიანი — ვიოლინო
ევგენი მორგუნოვი — საბჭოთა კინომსახიობი
კონცერტმაისტერები: ინგა თბილელი და კოტე მაკარიძე
დასაწყისი 19.30
ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07138